თქვენს მიერ (თბილისის არქიტექტურა - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური), 27.06.2025წ. გაცემულ გადაწყვეტილება №7534055-ის მე-9 პუნქტში აღნიშნულია, რომ:

9. წარმოდგენილ გეოლოგიური კვლევის საექსპერტო შეფასებაში მითითებული ჭაბურღილის სიგრძეები განსხვავდება კვლევის მონაცემებისგან, შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იქნას განახლებული დოკუმენტები მითითებულის გამოსწორებით.

გპასუხობთ:

ზემოთ აღნიშნულ შენიშვნას არ ვეთანხმებით, რადგანაც წარმოდგენილი განახლებული საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის შესავალ ნაწილში, მე-6 გვერდზე აღნიშნულია, რომ, 2024 წლის ივნისის თვეში, უბნის საინჟინრო-გეოლოგიური შეფასების მიზნით დათვალიერდა მიმდებარე ტერიტორია და ლითოლოგიური ჭრილის დასადგენად საბურღი დანადგარის УГБ 1 ВС- ის მეშვეობით გაყვანილი იქნა 3 ჭაბურღილი, თითოეული - 15.0 გრძ/მ. საერთო სიღრმით 45.0გრძ.მ. ხოლო, 2025 წლის ივნისში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილება №7508808-ის საფუძველზე ჩატარებული იქნა დამატებითი კვლევები, კერძოდ:

2024წლის ივნისში ჭაბურღილებზე მოეწყო პიეზომეტრები, გრუნტის წყალზე დაკვირვების მიზნით და დალუქული იქნა. ა/წ 12 ივნისს, პიეზომეტრები მოხსნილი იქნა და მოხდა ჭაბურღილების დაღრმავება, მიწის ზედაპირიდან 22.0მ. სიღრმემდე. აღნიშნული სამუშაოების გათვალისწინებით, დაკორექტირებული იქნა ლითოლოგიური სვეტები და ჭრილები;

საექსპერტო შეფასებაში რაიმე განსხვავებული მონაცემები, აღნიშნული არ არის (იხ. საექსპერტო შეფასება გვ.2, აბზაცი 2):

მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობების დასადგენად, 27 ივნისი (2024წ.) დათვალიერდა მიმდებარე ტერიტორია დალითოლოგიური ჭრილის დასადგენად საბურღი დანადგარის УГБ 1 ВС-ს მეშვეობითგაყვანილი იქნა 3 ჭაბურღილი, თითოეული – 15.0გრძ/მ. საერთო სიღრმით 45.0გრძ/მ. 2025წლის ივნისში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურულისამსახურის გადაწყვეტილება #7508808-ის საფუძველ-

ზე ჩატარებული იქნა დამატებითი კვლევები, კერძოდ: 2024 წლის ივნისში ჭაბურღილებზე მოეწყო პიეზომეტრები, გრუნტის წყალზე დაკვირვების მიზნით და დალუქული იქნა. 2025წლის 12 ივნისს, პიეზომეტრები მოხსნილი იქნა და მოხდა ჭაბურღილების დაღრმავება, მიწის ზედაპირიდან 22.0მ. სიღრმემდე, საერთო სიღრმით – 66.0გრძ/მ. აღნიშნული სამუშაოების გათვალისწინებით, დაკორექტირებული იქნა ლითოლოგიური სვეტები და ჭრილები.

აკრედიტირებული ექსპერტი, ინჟინერ-გეოლოგი: **/გ. იაშვილი/**

თბილისი / 2025წ.